



ადმოსავლეთ პარტნიორობის
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის
საქართველოს ეროვნული პლატფორმა

14 აგვისტო, 2018
თბილისი

საქართველოს ეროვნული პლატფორმის წევრი ორგანიზაციების მიმართვა

2018 წლის 25 ივლისს რუსულმა საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ „ეკო სოგლასიე“-მ გაავრცელა ინფორმაცია „რუსეთის ეკოლოგიური საზოგადოების,, მიერ „სოციალ-ეკონომიკური კონფლიქტების რუკის“ მომზადების შესახებ¹.

წარმოდგენილ რუკაზე საქართველოს ტერიტორიაზე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა აღნიშნულია, როგორც „Абхазия“, ხოლო ცხინვალის რეგიონი, როგორც Южная Осетия. არასწორადაა წარმოდგენილი სხვა ტოპონიმებიც: Сухум და Цхинвал, რომლებიც საერთაშორისო ნორმებით უნდა დაიწეროს, როგორც Сухумი და Цхинვალი.

წარმოდგენილი რუკა რუსეთის მთავრობის მორიგი პროვოკაციაა, რომელიც არღვევს მსოფლიოს ქვეყნების მიერ აღიარებულ პრინციპებს, საქართველოს ტერიტორიულ სუვერენიტეტს და მიზნად ისახავს დეზინფორმაციის, მსოფლიო საზოგადოების შეცდომაში შეყვანის გზით აღიარების სტატუსი მიანიჭოს, მათ მიერ ოკუპირებულ, საქართველოს ტერიტორიაზე ხელოვნურად წარმოქმნილ მარიონეტულ რეჟიმებს.

შემაშფოთებელია, რომ წარმოდგენილი პროვოკაცია მხადაჭერას პოულობს რუსეთის არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებს შორის.

„ეკო სოგლასიე“-ს საინფორმაციო ბიულეტენები ვრცელდება არამარტო ყოფილ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნების ტერიტორიაზე, არამედ უცხოეთშიც, მათ შორის მთელ რიგ საერთაშორისო ელექტრონულ ქსელებში.

მიგვაჩნია, რომ აღნიშნული ფაქტი წარმოადგენს რუსეთის მთავრობის მორიგ პროვოკაციას, რომელიც საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციის ეკოლოგიურ პლატფორმას იყენებს თავისი ექსპანსიური პოლიტიკური მიზნების განსახორციელებლად.

¹ სრულ ინფორმაციას შეგიძლიათ გაეცნოთ შემდეგ ბმულზე: <https://map.ecosociety.ru/>

დაუშვებელია რუსული ორგანიზაცია „ეკო სოვლასიე“-ს წევრთა ქმედება, რომლებიც საერთაშორისო ქსელებით მიზანმიმართულად ავრცელებენ მსგავსი სახის დეზინფორმაციას, უხეშად არღვევენ კოლევიალური ეთიკის ნორმებს და უგუვებელყოფენ საერთაშორისო საზოგადოების მიერ მათდამი გამოცხადებულ ნდობას.

საქართველოს ეროვნული პლატფორმის წევრი ორგანიზაციები პროტესტს გამოვთქვამთ აღნიშნული ქმედების წინააღმდეგ და მოვუწოდებთ საერთაშორისო საზოგადოებას დაგმოს რუსეთის მთავრობის მიერ საქართველოს სუვერენიტეტის მორიგი პროვოკაციული ხელყოფა.

ხელმძღვანელი ორგანიზაციები:

1. ლიბერალური აკადემია თბილისი
2. კავშირი გარემოს დაცვის საერთაშორისო კვლევითი ცენტრი
3. ჟურნალისტიკის რესურსცენტრი
4. მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის
5. ენერგოეფექტურობის ცენტრი საქართველო
6. ფონდი "კავკასიის ეკოლოგია"
7. საქართველოს ენერგო-რესურსების ეფექტურად გამოყენების ასოციაცია
8. საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები - საქართველო
9. ასოციაცია "მერკური"
10. ასოციაცია ტოლერანტი
11. ადამიანის უფლებების დაცვისა და პატიმართა სოციალური უზრუნველყოფის საერთაშორისო ორგანიზაცია
12. საქართველოს ადვოკატთა დამოუკიდებელი პროფკავშირი
13. სამოქალაქო განათლებისა და განვითარების ცენტრი
14. ფონდი "ადგილის დედა"
15. ახალი თაობა დემოკრატიული საქართველოსათვის
16. საქართველოს გეოსტრატეგიული და ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის კვლევების ინსტიტუტი
17. გაერთიანება ჯანმრთელობისა და განათლებისთვის